

**სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:** ენა და ლექსიკოგრაფია /Language and Lexicography

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი (Ma in Philology)

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოც. პროფ. თინათინ მარგალიტაძე

**პროგრამის ანალოგი:**

The University of Birmingham

MA in Language and Lexicography

[www.cels.bham.ac.uk/prospectus/inhouse/MA/MA\\_LangandLex.htm](http://www.cels.bham.ac.uk/prospectus/inhouse/MA/MA_LangandLex.htm)

University of Athens

Faculty of English Studies

MA in Language and Lexicography

[www.enl.uoa.gr/swf/en\\_indexloader.html](http://www.enl.uoa.gr/swf/en_indexloader.html)

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

საქართველოში ლექსიკონების შედგენის საუკუნოვანი ტრადიცია არსებობს. ქვეყნის მოქცევამ ქრისტიანობაზე ჩვ. წ. IV საუკუნეში უდიდესი სტიმული მისცა მწიგნობრობის განვითარებას. ბერძენი და რომაელი მწერლების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების მრავალი ნაწარმოები ითარგმნა ქათულ ენაზე. თარგმანებს ხშირად ურთავდნენ გლოსარიუმებს, ლექსიკონის ტიპის ნაწარმოებებს. ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი XI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. შემდეგ იყო საეტაპო ლექსიკოგრაფიული ნაწარმოებები:

სულხან-საბას „სიტყვის კონა“ (XVIII ს.), მე-19 საუკუნეში შედგენილი და გამოცემული ჩუბინაშვილების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (აკად. არნ. ჩიქობავას რედაქტორობით); დიდი კომპეტენტურობით შედგენილი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტერმინოლოგიური ლექსიკონები: ტექნიკური, იურიდიული, მათემატიკური..., სიმფონია-ლექსიკონები და მრავალი სხვა.

საქართველოში ორენოვანი, ევროპულ-ქართული ლექსიკონების შედგენის მნიშვნელოვანი ტრადიციაც არსებობს. ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც რომში გამოიცა 1629 წელს, პირველი ნაბეჭდი წიგნი იყო ქართულ ენაზე. 1629 წლიდან 1870 წლამდე დაახლოებით ათი ევროპულ-ქართული და ქართულ-ევროპული ლექსიკონი შეიქმნა და გამოიცა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, რის შედეგადაც თარგმნითი ლექსიკოგრაფიის ძირითადი ყურადღება რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკოგრაფიაზე გადავიდა. შეიქმნა და გამოიცა როგორც ზოგადი, ასევე სპეციალიზებული, დარგობრივი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები. ამ ვითარებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ორენოვანი ლექსიკოგრაფია ქართული ენისა ევროპულ ენებთან მიმართებაში, რამაც გამოიწვია დარგის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა.

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში ჩნდება ორენოვანი ევროპულ-ქართული ლექსიკონები: ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული, მაგრამ აღნიშნული ლექსიკონები უპირატესად შესაბამისი რუსულენოვანი ლექსიკონების თარგმანებს წარმოადგენენ. ამგვარი პრინციპებით შედგენილი ლექსიკონები, ბუნებრივია, ვერ ასცდებოდა უზუსტობებს, ხშირ შემთხვევაში, უხემ შეცდომებსაც კი, რაც სრულიად

დაუშვებელია ისეთი კანონიკური ნაწარმოებისათვის, როგორც ლექსიკონია. საქართველოს კი ძალიან სჭირდებოდა დიდი კომპეტენტური ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც მისთვის იქნებოდა გასაღები და გასასვლელი უდიდეს ინგლისურენოვან სამყაროზე.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრამ უდიდესი პროექტი წამოიწყო, დიდი ინგლისურ-ქართული 150 000 სიტყვიანი ლექსიკონის შედგენა. პირველადი მასალის შედგენა ორ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. სამწუხაროდ, პროექტი იმთავითვე არასწორ თეორიულ პრონციპებს დაეფუძნა, კერძოდ გადაწყვეტილება იქნა მიღებული ქართულად თარგმნილიყო მიუღერის, მოგვიანებით კი ილია გალპერინის საერთო რედაქტორობით გამოცემული დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო შედგენილი მასალის სარედაქციო სამუშაოები, რამაც გამოავლინა შერჩეული ლექსიკოგრაფიული პრინციპების სრული მცდარობა. მასალის ხელახლა გადამუშავებისათვის შემუშავდა ახალი, მეცნიერული ლექსიკოგრაფიული პრინციპები. ინგლისურ-ქართული ლექსიკონის პირვანდელი მასალის გადამუშავებას 25 წელი დასჭირდა. ამ პერიოდში იხვეწებოდა სარედაქციო კოლეგიის მიერ შემუშავებული პრინციპები, რაც ათწლეულების მანძილზე დაიწურა ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ლექსიკოგრაფიულ პრინციპებად და მწყობრი ლექსიკოგრაფიული თეორიის სახე მიიღო.

დღეისათვის გამოცემულია ინგლისურ-ქართული ლექსიკონის 13 ტომი (ასოები A – O), ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი, ელექტრონული ვერსიით, ინტერნეტში განთავსებულია დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი; უნივერსიტეტში დაფუძნებულია ლექსიკოგრაფიული ცენტრი, სადაც მიმდინარე ლექსიკოგრაფიულ პროექტებთან ერთად, მრავალი სხვა ლექსიკოგრაფიული პროექტის შესრულებაა დაგეგმილი.

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა სწორედ აღნიშნულ გამოცდილებას და ლექსიკოგრაფიულ თეორიას ეფუძნება.

პროგრამა მიზნად ისახავს დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას მომავალი ლექსიკოგრაფებისათვის, რათა აღიზარდოს ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკოგრაფიის სპეციალისტთა ახალი თაობა, რომლებიც წინა თაობის შეცდომებს აღარ გაიმეორებენ და მათი საქმიანობა სწორ თეორიულ და პრაქტიკულ პოსტულატებს დაეყრდნობა.

**ა) პროგრამის მიზანი:** წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია კადრების მომზადება ორენოვანი, თარგმნითი (ინგლისურ-ქართული) ლექსიკოგრაფიისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იმ დიდი ხარვეზის გამოსწორებას, რაც დღეს არსებობს ამ სფეროში. ამასთან ერთად სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ზოგად-ლინგვისტური საგნების შესწავლა, ქართული, რუსული და ინგლისური ენების ცოდნის მნიშვნელოვანი სრულყოფა, საკუთრივ ლინგვისტური საგნების შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიონალი ლექსიკოგრაფების აღზრდას.

**ბ) სწავლის შედეგი :** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- სრულყოფს ინგლისური ენის ცოდნას. პროგრამით გათვალისწინებული ინგლისური ენის უმაღლესი კურსის გავლის შემდეგ მას ექნება ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე;

- სრულყოფს ქართული ენის ცოდნას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქართული ენის ათკრედიტიანი პრაქტიკული კურსი, რის შედეგადაც სტუდენტი დახვეწს ქართული ენის ცოდნას და გაიმდიდრებს ქართული ენის ლექსიკას, რაც აუცილებელია სარედაქტორო, ლექსიკოგრაფიული თუ მთარგმნელობითი საქმიანობისათვის;
- სემასიოლოგია, თარგმანის თეორია და პროგრამით გათვალისწინებული ლინგვისტური ბლოკის სხვა საგნები კურსდამთავრებულს მისცემს სიღრმისეულ ცოდნას მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე აღნიშნული პრობლემატიკის უკეთ წვდომისათვის მას უფრო ფართო ლინგვისტურ კონტექსტს შეუქმნის;
- საკუთრივ ლექსიკოგრაფიული ბლოკი სტუდენტებს: გააცნობს სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსებში; გამოუმუშავებს სიტყვა-სტატიაზე მუშაობის უნარ-ჩვევებს; შეასწავლის როგორც ზოგადი ლექსიკის, ასევე დარგობრივი ტერმინოლოგიის შედგენისა და რედაქტირების საფუძვლებს;
- კურსდამთავრებულს ექნება ფილოლოგ-ლექსიკოგრაფისათვის საჭირო როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს იმუშაოს კონკრეტულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე. კურსდამთავრებული შეძლებს როგორც ზოგადი ინგლისურ-ქართული ლექსიკონების სიტყვა-სტატიებზე მუშაობას, მათ შედგენას, რედაქტირებას, ასევე დარგობრივ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებზე მუშაობას, დარგობრივი ტერმინოლოგიის რედაქტირებას, ქართული ექვივალენტების დაძებნას.
- საგნები თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს მისდიოს მთარგმნელობით საქმიანობას, გააგრძელოს დამოუკიდებელი სწავლა ან სამეცნიერო საქმიანობა და სხვა.

**გ) დასაქმების სფეროები:** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- საუნივერსიტეტო ლექსიკოგრაფიულ ცენტრში,
- გამომცემლობებში,
- დამოუკიდებლად იმუშაოს საკუთარ ლექსიკოგრაფიულ პროექტზე,
- ხელი მოჰკიდოს მთარგმნელობით საქმიანობას.
- სახელმწიფო სტრუქტურები
- კერძო სექტორი.

**სწავლის გაგრძელების საშუალება:** მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს

- უნდა ჰქონდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ფილოლოგიაში;
- წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საერთო-სამაგისტრო გამოცდა;
- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე

- წინამდებარე პროგრამაზე შემომსვლელ პირს სასურველია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, კარგი იქნება სამუშაო გამოცდილების ქონაც.

**კვლევითი კომპონენტი:** კვლევები წარიმართება შემდეგი მიმართულებით: ლექსიკოგრაფიული პრინციპების შეპირისპირებითი ანალიზი, სემასიოლოგია/ ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფიის ისტორიის მიმართულებით.

სამაგისტრო ნაშრომისათვის განკუთვნილი 30 კრედიტი ორ ნაწილად გაიყოფა: თეორიული ნაშრომი (15 კრედიტი), რომლის კვლევითი თემატიკა შეირჩევა მნიშვნელობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებიდან, აგრეთვე სხვა ლექსიკოლოგიური თემატიკიდან, რომელიც რელევანტურია ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით და სხვა.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა ეყრდნობოდეს მაგისტრანტის ორიგინალურ კვლევას. კვლევის მეთოდების ადეკვატურ გამოყენებასაც ასევე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე ნაწილი კი (15 კრედიტი) დაკავშირებული იქნება ლექსიკოგრაფიული ცენტრის პროექტებთან. მაგისტრანტი მონაწილეობას მიიღებს ცენტრის პროექტებში და შეადგენს სიტყვა-სტატიებს:

- 1) დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონისათვის;
- 2) ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის აღნიშნულ ნაწილში მაგისტრანტმა უნდა გამოავლინოს როგორც დიდი ლექსიკონისათვის სიტყვა-სტატიის შედგენისა და რედაქტირების უნარი, ასევე სასწავლო და დარგობრივი ლექსიკონებისათვის სიტყვა-სტატიების შედგენისა და რედაქტირების უნარი.

სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად პროფესიონალურად იქნება შედგენილი ან რედაქტირებული ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სიტყვა-სტატიები.

#### **სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

სამეცნიერო კვლევები წარიმართება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში, რომლის განკარგულებაშია 7 კომპიუტერი, 3 პრინტერი, სკანერი, ინტერნეტ ქსელი, ლექსიკოგრაფიული ბიბლიოთეკა, ცენტრის ლინგვისტური კორპუსი.

#### **პროგრამაში მონაწილე პროფესორები:**

თსუ სრული პროფესორები მ. რუსიეშვილი, ი. მერაბიშვილი, რ. ქურდაძენ ასოც. პროფ. დარასელია, ემერიტუს პროფესორი შ. აფრიდონიძე, ლექსიკოგრაფიური ცენტრის წამყვანი სპეციალისტები გ. მელაძე და გ. ხუნდაძე

## სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტები ს საერთო რაოდენობა
1.	ინგლისური ენის უმაღლესი კურსი	სავალდებულო	15
2.	სემასიოლოგია (ლექსიკოგრაფიული პარამეტრები)	სავალდებულო	10
3.	თარგმანის ლინგვისტიკის თანამედროვე მიმართულებები	სავალდებულო	10
4.	ლინგვისტური აზროვნების ისტორია	სავალდებულო	5
5.	ლექსიკონები და ლექსიკოგრაფიული პრინციპები	სავალდებულო	5
6.	ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორია	სავალდებულო	5
7.	პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ ზოგად ლექსიკოგრაფიაში	სავალდებულო	5
8.	პრაქტიკული კურსი ინგლისურ-ქართულ სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში	სავალდებულო	5
	<b>სულ:</b>	<b>სავალდებულო</b>	<b>60</b>
9.	გერმანიკული ენების შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
10.	ქართული ენის პრაქტიკული კურსი	არჩევითი	10
11.	რუსული ენის პრაქტიკული კურსი	არჩევითი	10
12.	სოციოლინგვისტიკა	არჩევითი	5
13.	ლექსიკური სემანტიკა	არჩევითი	5
14.	ქართული ენის სტილისტიკა	არჩევითი	5
15.	თარგმანი როგორც კულტურათა დიალოგი	არჩევითი	5
16.	ნებისმიერი 3 კურსი ზოგადი ენათმეცნიერების, ინგლისური ფილოლოგიისა და თარგმანის ხელოვნების სამაგისტრო პროგრამებიდან, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით	არჩევითი	
	<b>სულ</b>	<b>არჩევითი</b>	<b>30</b>

	სამაგისტრო ნაშრომი		
	სულ		120

**საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში**

გამოცდა ჩატარდება ინგლისურ ენაში (B2 დონე) წერითი სახით და შეფასდება 100 ქულიანი სისტემით.